ქუთაისის საკრებულოს წევრ, პარტია "საქართველოსთვის" ელეონორა არჩაიას 2022-2023 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ჩემ მიერ მიმდინარე წლის, კერძოდ 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოს ანგარიშს.

მოგეხსენებათ, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, პარტია ,,საქართველოსთვის" წარმომადგენელი, აქტიურად ვარ ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში. გაერთიანებული ვარ საკრებულოს ორი კომისიის საფინანსო საბიუჯეტო და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში. ასევე, ვარ გენდერული საბჭოს წევრი, ჩემ მიერ დღემდე გაცდენილი არ ყოფილა არცერთი საკრებულოსა თუ კომისიის სხდომა. გარდა ჩემი აქტიური მონაწილეობისა საკრებულოს სამუშაო პროცესში, ყოველდღიური კომუნიკაცია მაქვს ჩემი ქალაქის მოსახლეობასთან. შესაბამისად, პირდაპირი წყაროსგან, უშუალოდ ხალხისგან ვიღებ ინფორმაციას მათი საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ, მიუხედავად ოპოზიციაში ყოფნისა. ნებისმერ დროს შესაძლებელია ჩემთან დაკავშირება ტელეფონისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

მომართვის შესაბამისად, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, დროულად ვეხმარები მოქალაქეებს. მომართვიანობა არის როგორც ინფრასტრუქტურული საკითხების თაობაზე, ასევე სოციალური და ეკონომიკური, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. არცერთი დღე არ შემიწყვიტავს მოსახლეობასთან კომუნიკაცია. ყველანაირი გზით, ადგილზე ვიზიტით, თუ შეხვედრებით ვახერხებდი მათი პრობლემების მოსმენას და აღმოფხვრას. დიდი შრომის ფასად ბევრ მოქალაქეს ძალიან მოკლე დროში მოვუგვარე სხვადასხვა სახის პრობლემა. საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ ანგარიში

- საკრებულოს თავმჯდომარეს მივმართე ინიციატივით, დაინერგოს სახალხო ბიუჯეტირების პრაქტიკა, რომლის დროსაც მოსახლეობა თვითონ განსაზღვრავს, თუ როგორ განკარგოს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი.

- დავაყენე ინიციატივა ადგილობრივ დონეზე, შეიქმნას მაკონტროლებელი რგოლი, ანტიკორუფციული კომისია.

- საკრებულოს სხდომაზე წამოვაყენე ინიციატივა უფასო მუნიციპალურ სასკოლო კვებასთან დაკავშირებით.

- საკრებულოს მივმართე ინიციატივით 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, პრიორიტეტი მიენიჭოს მდინარეებისა და ხევების კალაპოტების

გაწმენდით და ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტების განხორციელებას, განსაკუთრებით, მაღალი რისკის უბნებში.

- მივმართე მერიას, ახალგაზრდობის პარკის მოსაზღვრე ტერიტორიის შესყიდვის და გაფართოების შესახებ. (დაწყებულია ტერიტორიის დაბრუნების პროცესი)

- მოვითხოვე ბოტანიკური ბაღის კულტურის სამსახურისგან გამოყოფა და დამოუკიდებელი ფუნქციონირება.

- ქუთაისსა და აეროპორტს შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დამატების ინიციატივით, ოფიციალურად მივმართე ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს ირაკლი შენგელიას. პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ანგარიში.

- დაუმთავრებელი ბინათმშენებლობით დაზარალებული 104-ე კოოპერატივის პრობლემა დავაყენე საკრებულოში, გუბერნიაში და ასევე პარლამენტარ შალვა კერესელიძეს დახმარებით, საქართველოს პარლამენტსა და შესაბამის სამთვარობო უწყებებში.

- 2 წლიანი შრომის და ძალისხმევის შემდეგ, მივაღწიე დეპოს ქუჩის პრობლემის მოგვარებას. დავათვალიერე დეპოს ქუჩაზე დაწყებული სამუშაოები და შევხვდი ადგილობრივ მოსახლოებას.

- ჩემი აქტიური ჩართულობით შეკეთდა სტიქიით დაზიანებული საბავშვო ბიბლიოთეკის პარაპეტი.

- ასევე, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით შეკეთდა ახალგაზრდობის გამზირის N68 დაზიანებული სახურავი.

- მოვითხოვე მე-16 ბაგა ბაღის ინფრასტრუქტურის აღდგენა და მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინება.

- საჯარო სოლიდარობა და მტკიცე მხარდაჭერა გამოვუცხადე ქუთაისის ჩხობაძის სახელობის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის გაფიცულ თანამშრომლებს.

- არაერთხელ დავაყენე სახელმწიფო ბალანსზე არსებული უფუნქციოდ მიტოვებული შენობების საკითხი.

- მხარდაჭერა გამოვუცხადე მევახშეობით დაზარაებულ ოჯახს, რომლის პრობლემებიც ადგილობრივი მედიით გაშუქდა და ყურადღება მიიპყრო.

- ქუთაისი-გეგუთის მაგისტრალზე მდებარე ნაგავსაყრელი დავათვალიერე და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიის სამუშაოს შემსრულებელს შევხვდი.

● შევხვდი ვიცე-მერს, თამარ დახუნდარიძეს რაზმაძის ქუჩის მოქალაქეების პრობლემებთან დაკავშირებით. პირადი და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ ანგარიში. ჩემი ორგანიზებით და სხვადასხვა ღონისძიებებში უშუალო ჩართულობით, როგორც წინა წლებში ასევე 2022 ~ 2023 წელსაც ჩავატარე არაერთი საქველმოქმედო აქცია. შესაბამისად, დავეხმარე არაერთ მოქალაქეს. აქტიურად ვარ ჩართული შშმ პირთა, ბავშვთა, მრავალშვილიან, ძალადობის მსხვერპლ ქალთა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებსა და სხვადასხვა აქტივობებში.

მათ შორის: ● შევხვდი და ჩემთან ვუმასპინძლე ქუთაისის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის „ჯადოსნური სამყაროს“ ბენეფიციარებს.

● შშმ პირთა ახალგაზრდული საქველმოქმედო ასოციაციას გადავეცი საჭირო აღჭურვილობა და გავუწიე ფინანსური დახმარება.

● დავესწარი ქუთაისის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრ ,,ჯადოსნური სამყაროს'' წლის შემაჯამებელ ღონისძიებასა და კონცერტს.

● საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ეროვნულ დღეს დავესწარი “ქუთაისის დამოუკიდებელი ცხოვრების” ცენტრის მიერ გამართულ ღონისძიებას.

● დავესწარი შშმ პირთა ახალგაზრდული საქველმოქმედო ასოციაცია "მოწყალების” ორგანიზებით ჩატარებულ გამოფენა-გაყიდვას.

● მონაწილეობა მიივიღე შშმ პირთა იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის “სრულფასოვანი ცხოვრებისთვის” ორგანიზებულ ტურნირში.

პატივისცემით,

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ელეონორა არჩაია